ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაკადული



## საყმაწვილო ჟურნალი

მცირე წლოვანთათვის.



თებერვალი № 3. 1915 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



აკაკი

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი:


I—აკაკის სურ. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 1

II—აკაკი წერეთელი,—ალ. მირიანაშვილისა. . . . . . . . . . 4

III—აკაკის ხსოვნას,—ლექსი ი. მჭედლიშვილისა . . . . . . . . 9

IV—სურ. აკაკი ნინო და არჩილ ელიაშვილებთან. . . . . . . . 10

V—მტირალა მოდრბაზე,—ცქვიტისა . . . . . . . . . . . . 11

VI—წუწკ კატას,—ლექსი ილ. გოგიასი. . . . . . . . . . . . 16

VII—ალექსი,—(ხალხური თქმულება) გარიყულისა. . . . . . . . 18

VIII—რატომა აქვს თოვლს თეთრი ფერი,—ზღაპარი (თარგმანი) დ. ჩიქვანისა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 22

IX—წერილები რედაქციის მიმართ . . . . . . . . . . . . . 24


ტფილისი, ელექტრონით მბეჭდავი წიგ. გამ. ქ. ამხ—სა, ვანქის დიდი ქ. № 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ✝ აკაკი წერეთელი

ვერ წარმოიდგენია „ნაკადული“-ს პატარა მკითხველი, რომელსაც არ გაეგონოს მთელ საქართველოსთვის მეირფასი და საყვარელი სახელი „აკაკი“.

ისწავლის თუ არა ბავშვი წერა-კითხვას, იმ წამსვე შეხვდება ის იმის მშვენიერ, ტკბილ ლექსებს. ვის არ წაუკითხავს და ზეპირად არ დაუსწავლია, მაგალითად:

**ყმაწვილი და პეპელა**

ჭრელი პეპელა დაათრო
და გააბრუა იამა;
მას მიეპარა ყმაწვილი,
დაიჭირა და იამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალერსით უთხრა პეპელას:
„თავს რითი ირჩენ შენაო?
როგორ არ გღალავს მთელი დღე
მოუსვენარი ფრენაო?“

პეპელამ უთხრა: — „მინდორში
ვცხოვრობ მე უზრუნველადო;
იქ ყვავილები გაშლილა
ჩემ საზრდოდ, საწუწნელადო;

რაც დღე მაქვს, ტკბილად ვატარებ,
ჩემს ნებაზედაც დავფრენო;
მაგრამ დღე-გრძელი არა ვარ,
გამიშვი-ნულარ მაცდენო“.

ყმაწვილმა ხელი გაუშვა,
გაფრინდა ნაზი პეპელა,
და თითქო ნიშნად მადლობის,
თავს ევლებოდა ნელ-ნელა.

როგორც ამ ლექსიდან სჩანს, ჩვენ დიდ, საყვარელ აკაკის პეპელაც-კი ებრალება, ეცოდება და მის დამჭერ პატარა ბავშვს ასწავლის — ნუ სტანჯავ, გაუშვი, დეე იმანაც თავისუფლად იცხოვროსო.

მაგრამ აკაკი სწუხს არა მარტო უბრალო მწერზე, პეპელაზე, არამედ ყოველ დაჩაგრულ, დაობლებულ და სიღარიბისაგან დაუძლურებულ ადამიანზე. ერთს თავისს ლექსში აკაკი ყმაწვილებს ასე მიმართავს:

„ობლები და ღარიბები
ქვეყნად ბევრი იტანჯება:
ზოგს დედ-მამა აღარა ჰყავს,
ზოგი სიცივითა კვდება.

ყმაწვილებო, ამგვარ საწყლებს
თუ რომ სადმე შეეყაროთ,
ვალი გაქვთ, რომ ძმებისავით
მიეფეროთ, შეიყვაროთ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ასწავლის და არიგებს ჩვენი აკაკი არა მარტო პა-ტარებს, არამედ უფრო მეტად—დიდებსაც. ეს სწავლა-დარი-გება, გულშემატკივრობა და ზრუნვა დაგვიხატა თავის აუარე-ბელ ლექსებში.




**აკაკი ბავშვებთან**

აკაკი იყო მგოსანი, პოეტი.

აკაკის ლექსები მეტად სასიამოვნო, ლამაზი, ადვილი გასაგები, აზრიანი, მშვენიერი სიტყვებით შემკული და ყურის დამატკბობელია. მათით სტკბება და ჰკვირდება, ქართველების გარდა, ყველა უცხო ტომის ხალხიც, ვისაც აკაკის ნაწარმო-ებები გაუცვნია.

აკაკი იყო დიდებული მგოსანი.

აი ეს დიდებული კაცი, ჩვენი სათაყვანებელი აკაკი აღარა გვყავს. გავლილ იანვრის 26, ღამის პირველ საათზე მან

საუკუნოდ დახუჭა თავისი მშვიდობისი თვალები. ამ მწარე ამბავმა მთელი საქართველო მწარედ შესძრა; ჩვენს სამშობლოში გაისმა საერთო გლოვის ზარი. ყველა სჩივის, ყველა სტირის, ყველა სწუხს. საქართველოს ამ დიდ უბედურობის დროს ნუგეში და თანაგრძნობა გამოუცხადეს სხვა ერებმა, მორწმუნეებმა და მახლობლებმა.

გლოვა შეიქმნა უსაზღვრო და შესანიშნავი.

აკაკი დაიბადა სოფ. სხვიტორს, დაბა საჩხერეს, ქუთაისის გუბერნიაში, 1840 წელს. აკაკის მამა, როსტომ წერეთელი, დროის შესაფერად განვითარებული, მდიდარი თავადი იყო. დედა, ეკატერინე, ჩამომავლობით აბაშიძის ქალი, მეტად კეთილი გულისა და ღარიბ-ღატაკთა შემბრალებელი ადამიანი იყო.

რვა წლისა რომ შეიქნა, აკაკი ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარეს. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი პეტროგრადის უნივერსიტეტში შევიდა. რუსეთში დაჰყო 6 წელიწადი და 1862 წელს უკვე ცოლიანი დაბრუნდა სამშობლოში.

წერა მგოსანს ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს დაუწყვია და იმ დღიდან, თითქმის 60 წლის განმავლობაში, თვით სიკვდილის ჟამამდე ხელიდან კალამი არ დაუგდია.

ეს ამოდენა ხანი დიდებულმა მგოსანმა მოანდომა ჩვენ დარიგებას, სწავლებას, გზის ჩვენებას და წარმატების კვალში ჩაყენებას.

მას უყვარდა ქართული ენა, ჩვენც შეგვაყვარა ეს ენა; იგი შესტრფოდა საქართველოს, ჩვენც ჩაგვინერგა ეს ტრფიალი; იგი ჰქადაგებდა საერთო ძმობას, პატრიოსნებას, სინიდისიერებას, კაცთ-მოყვარეობას და ჩვენც ვუსმენდით და ვითვისებდით ამ მოძღვრებას.

აი, კიდეც ამით აიხსნება ის დიდი გლოვა, უსაზღვრო პატივისცემა და შესანიშნავი ერთობა, რომელიც გამოიჩინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელმა ქართველმა ერმა მდგომარე თებერვლის 8-ს, აკაკის დასაფლავების დღეს.

აკაკის დასაფლავება იყო დიდებული, როგორიც შეჰფერის თვით დიდებულ ადამიანს. ბევრ მეფეს არ ჰღირსებია ასეთი პატივისცემა!

აკაკის ცხედარი ჩამოასვენეს თავის სოფლიდან ქალ. თფილისს და აქ, მთაწმინდის გორაზე, მამადავითის ეკლესიის გალავანში, მეორე დიდებულ ქართველ ადამიანის — ილია ჭავჭავაძის—სიახლოვეს დაკრძალეს.

ვინც თავის თვალით იხილა, რა სანახაობას წარმოადგენდა ეს დაკრძალვა, იმას უეჭველია გულში საქართველოს უკეთეს მომავალის დიდი იმედი ჩაესახა.

**ალ. მირიანაშვილი.**



აკაკი რაჭაში მოგზაურობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი თამრიკო დიასამიძესთან.

# აკაკის ხსოვნას

ნისლით მობურვილ მთებიდან
გააქვთ წყაროებს რაკრაკი,
თითქო მწარედა ტირიან:
აღარ არისო აკაკი.

თრთიან ხენი და ჯეჯილნი,
მზეს ცრემლად სცვივა სხივები,
და მგლოვიარედ აკვნესდნენ
სამხიარულო სიმები.

ი. მჭედლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკაკი ნინო და არჩილ ელიაშვილებთან.



# მტირალა მოდარბაზე

ახირებული რამ იყო ჩვენი პატარა მარო. დღე ისე არ დაღამდებოდა, რომ მას რამე ეშმაკობა არ მოეგონებინა და სახლში ერთი აყალ-მაყალი არ აეტეხა. მაგრამ სიმართლე რომ ვსთქვათ, არც თუ გასამტყუნარი იყო. იმათი სახლი მთელ სოფელში ისე იყო განმარტოვებული, რომ მარო ზამთარ-ზაფხულ თავის ტოლებზე მუდამ დაშორებული იყო. სახლში კი მოსამსახურიდან დაწყებული სულ ბებრუცუნებთან ჰქონდა საქმე. დედასაც იმისთვის არა სცალოდა: ის მუდამ ოჯახს უნდებოდა და მარო იყო მარტო, თავის-თავის ანაბარა. კიდევ ღმერთმა დაუმადლოს ჭრელ კატას: პატარა იმაზედ ართობდა გულს, თორემ შენი მტერი, რომ იმისი საქმე იქნებოდა, მუდამ იმას ეალერსებოდა და ეთამაშებოდა, თავზე თავშალს მოახვევდა, ხან წამოსასხამით მორთავდა; მაგრამ ბევრჯელ გაბეზრებული კატაც ხელიდან რომ გაუსხლტებოდა და ორიოდ კლანჭსაც გაჰკრავდა, მარო ერთს ისეთს დაიქუხებდა, რომ გულები ჰქონდათ ყველას გადმოვარდნილი. თან რაკი იცოდა, რომ კატას ვეღარ დაეწეოდა, გაბრაზებული ასე მიაძახებდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წადი რა? განა მართლა მიყვარხარ! ფუი, შენ ის ვირი ხარ—თავზე ქვა რომ ამოგხვლია, შე ოხერო, შენა!

წარმოიდგინეთ, აი, მუდამ ასე ტირილით და ქუხილით თავდებოდა ყოველთვის მისი თამაშობა; ბარემ თვითონაც მადლობელი არ იყო, რომ საქმე ასე მოსდიოდა, მაგრამ ზედმეტი უბედურება კი უფრო ის იყო, რომ მარო, რაც უნდა ცამდინ მართალი ყოფილიყო, შინაურები მაინც იმას ამტყუნებდნენ და ყველაფერს იმას აბრალებდნენ.

საკვირველია, მუდამ ბედნიერ დღეს, როცა ყველა მხიარულობდა, მარო უსათუოდ სადმე მიმჯდარი ისე დუღდა, გეგონებოდათ—მთელი ქვეყანა თავზე ჩამონგრევიაო. მიზეზი კი ის, იყო რომ დღესასწაულებში, როცა ყველა დაფაცურებული რაღასაც აკეთებდა და დიდი თუ პატარა ერთ მზადებასა და ალიაქოთში იყო, იმათ დანახვაზე მაროც მთლად იცვლებოდა; თითქო საერთო მოუსვენრობას ის უფრო მლიერ გრძნობდა და ღელავდა; იმასაც რაღაც უნდოდა გაეკეთებინა, სადღაც უნდოდა გაფრენილიყო და მთელი ქვეყანა ფეხ ქვეშ მოედო. ჰო და, აი, სხვის წაბაძვაზე ისიც რაღასაც მოიგონებდა და გაფაციცებული საქმეს რომ შეუდგებოდა, აბა დიდი მარცხი მაშინ მოსდიოდა და დიდ მარცხს ხომ დიდი ტირილიც თან მოსდევდა.

თორემ აბა რა შორს მივდივართ... ყური მიგდეთ—რა მოგახსენოთ: გუშინ წინ, სწორედ ახალ წელიწად დღეს, სტუმრების მოლოდინში ყველანი ადრე ადგნენ, ჩაი ადრე დალიეს, სახლი დაასუფთავეს და თვითონაც სუფთად ჩაიცვეს. ასე გასინჯეთ, თვალებ-დაღლემილმა თევდორემაც კი დალაქს წვერი გააპარსვინა, ლურჯი ახალუხი ჩაიცვა და ბოსლიდან ქალბატონს მისალოცად ეახლა, თუმცა პატივის სუნი ისევ მლიერ ასდიოდა მაგრამ მორთული თევდორე იმ წამს მაინც სულ სხვა იყო. გახარებული მარო თევდორეს ჯერ კისერზე შემოეხვია, მერე

სიცილით განზე გადგა და თავით-ფეხამდე ისე დაუწყო ცქერა, თითქოს ყოველივე ბედნიერება, თევდორეს ბრალი ყოფილიყოს.

შემდეგ მაგიდასთან მიიპატიჟა, ყველაფერი უხვად მისთავაზა, ხმელი ხილით ჯიბე აუვსო და იმას კი აღარ ამჩნევდა, რომ შუა კარებიდან თავ-შემოყოფილი ბებერი რაც ძალი და ღონე ჰქონდა ძალად ახველებდა, თვალსაც ათასნაირად უშვრებოდა და ემუქრებოდა, მაგრამ მაროს რა დიდედასი სცხელოდა. თევდორემ სხვებსავით მოულოცა და მაშ არ უნდა დაებერებინა..?

ამ წამს ძაღლმაც შეჰყეფა; აივანზე ფეხების ბარტყუნი მოისმა და მარო სტუმრების დასახვედრად ახლა კარებს მივარდა. მალე ოთახი ხმაურობით და მხიარულობით აივსო. შესცქეროდა მარო სტუმრებს და უკვირდა, რომ იმ დღეს ყველა სულ სხვა იყო, ყველა მის გულში უზომო სიხარულს იწვევდა, რაღაც ძლიერ უხაროდა და თვითონაც კი არ იცოდა—რა უხაროდა.

—შენ გენაცვალე ღმერთო რა კარგია, წავიდე მეც ამათსავით სხვები გავახარო... იქ არა მყავს ჩემი ნუცა, ჩემი ფეფო... ფიქრობდა გახარებული მარო და დროს უცდიდა. როცა დედამ სტუმრები მაგიდასთან მიიპატიჟა, მარომ იდროვა. ჩუმად მეორე ოთახში გამოვიდა, განჯინის კარები გააღო, ვიდასიც ზაფხულის ძველი შლიაპა ამოიღო; მერე რის ვაი-ვაგლახით ტახტიდან ბუმბულის კალათი გამოაძვრინა, ინდოურის ფრთები ამოარჩია და შლიაპაზე შერჩენილ გახუნებულ ყვავილთან ერთად ბღუჯა-ბღუჯა ფრთები ჩაურჭო და გაამზადა. მერე ისევ მეორე ოთახში გამოტრიალდა; ჰარკით ხილი, ტკბილი კვერი და დედას დაბასმული ძველი ლეჩაქი ჩუმად გამოიტანა და საქმეს შეუდგა. ჯერ ბუხრის ფარდა ასწია, ომარხნობის დროს ძველი სარკე ფანჯარაზე მიაყუდა და კულუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლები შეისწორა. შემდეგ უშველებელი შლიაპა ჩანახივით თავზე ჩამოიმხო, და სიხარულით აწითლებულმა ახლა ლეჩაქი მანტიად მხრებზე კოხტათ მოიდო, და ფეხ-აკრეფით გამოვიდა.

ეგ იყო, ახლა კი გასწია მარომ სადარბაზოდ, ქვეყანა უნდა გაახაროს ჯერ იმით, რომ ტკბილეულობა მიჰქონდა და ახლა ძლიერ მორთულიც იყო. მარომ ამ ფიქრით თავისი დაბასმული ლეჩაქი თოვლით მოქარგულ ნერგების სამოსელს უნებურად შეადარა და თან ამაყად გადააბიჯა. თოვლმა პაწია ფეხებ ქვეშ ხრაშა-ხრუში დაიწყო.

მიდის მარო, მიეშურება. ერთი ვენახი გაიარა, მეორის ორღობეს შეუდგა, მაგრამ მაინც ვერა და ვერ მიაღწია.

ის სახლი, საითაც მარო ეჩქარებოდა, გაკორტნილ ვენახებიდან თითქოს ახლო მოსჩანდა, მაგრამ ამდენი ხანი კი გზა ვერ დალია. ხელსა და ფეხებს ყინვა კი ისე უჭერდა, რომ საცა იყო პირს დაალებდა, და თუ ერთი ტირილი დაეწყო, იქნებ მთელი სოფელი შეეყარა. მაგრამ აბა რას იტირებდა? განა მარომ არ იცოდა—იმ წამს ვინც იყო და რისთვისაც მიემგზავრებოდა? ზარემ მამალივით გალურჯდა, მეტი სიმწარით გულიც მალზედ ეღრინებოდა, მაგრამ მარომ მაინც არ იტირა, კბილები მაგრა დაკრიჭა და აჰა,—კიდეც მიახლოვდა.

ეზოში ბილიკის ორივ მხარეზე დახროვილ თოვლში პაწია სტუმარი ძლივს მობაჯბაჯებდა. აგერ კიბეც... გარედ კი არავინა სჩანს. მარო რის ვაი-ვაგლახით ავიდა, საცაა კარებს შეაღებს და ნუცას გადაეხვევა, მაგრამ დახე უბედურობას: ის შეჩვენებული ბროლია უცებ საიდგანღაც გამოუვარდა და რაკი უცნაურად მორთული ბავშვი ვერ იცნო, ერთი ისეთი შეჰყეფა რომ ბავშვი ხმა-ამოუღებლივ კინაღამ უკან გადმოვარდა.

მაღლმა მარო იცნო, დაკრეჭილი კბილები დამალა და ახლა კუდის ქნევით ლაქუცი და ლოკვა დაუწყო, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბურულ ხელებში საცოდავად დაკავებული ტკბილი კვერი შენიშნა თუ არა, ერთი ისე თავაზიანად ჩამოართვა და კუდ-ამოძუებული ისე გაცუხცუხდა, რომ მაროშ თვალიც კი ვეღარ მოჰკრა. აქ კი მეტი სიმწარით მან ისეთი დაიჭყლა, რომ შინ მყოფნი ყველა გარედ გამოვარდა და რა ნახეს: პაწია მოდარ-ბაზეს უშველებელი შლიაპა გვერდზე მოჰქცეოდა, მაღლისკენ გაშვერილი ხელი საცოდავად გაშეშებოდა და მანტიით გამო-წყობილი მოლოცვის მაგივრად ისეთი ხმით ბღუოდა, თითქოს მთელი ქვეყნის ვარამი თავზე ამას დასწოლიაო.

**ცქვიტი.**





# წუწკ კატას



ა, შე წუწკო, კატის კნუტო,
რად მომჰბარე ხაჭაპური?!.
დამაცადე, შე ცუღლუტო,
აგიწიო მაგრად ყური!...

განა—კი ის არ კმარიყო,
რაც გაჭამე ხორცი, პური?
პატივცემას ვერ აფასებ,
ბრიყვი ხარ და უმადური!..

თავგ-ვირთხებით აკლებულმა.
ნება მოგეც—კიდით—კიდე,
რომ მოგევლო ირგვლივ ჩემი
განჯინა და სასიმინდე.

და მართლაც, რომ კარ-მიდამო
იმ მტრებისგან გამიწმინდე,
მაგრამ სული ამომართვი,
ცეცხლზე ცეცხლი წამიკიდე!..

პატივს გცემდი, ჭირს და ლხინში
ერთგულ მოყვრად გადგეკიდე;
შენ-კი? ეჰ, შენ, ავო სულო!
მიღალატე, არ დამინდე!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მე გამცალე, მაგრამ მალე
შეგიტყობენ ცუღლუტობას,
სახლში არსად შეგიშვებენ:
განანებენ მაგ წუწკობას.

და თუ-კი დღეს ჰურს ქურდულად
თან აყოლებ საჭაჰურსა,
გნახავ—კარზე კუწ-გამხმარი
რომ ითხოვდე ლუკმა ჰურსა!..

**ილ. გოგია.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალექსი

(ხალხური თქმულება)

ძალიან ძველი დროის ამბავია, იმ დროისა, როცა ბატონყმობა იყო ჩვენ ქვეყანაში. ყოველ სოფელში რამდენსამე თავადსა ან აზნაურს ეკუთვნოდა ყველაფერი,—სახნავ-სათესი მიწა, წყალი, ტყე, ღრე და თვით გლეხკაცობაც. დღევანდელი თავისუფალი მოსახლე გლეხი, საკუთარი სახლ-კარის პატრონი,—მაშინ ყმა იყო, ყოველივე უფლებას მოკლებული. ბატონის საკუთრება იყო თვითონ გლეხი, მისი სამუშაო ძალა, მისი ცოლ-შვილი და სახლ-კარი. მებატონეთა შორის ზოგი სასტიკი იყო, ზოგი ლმობიერიც გამოერეოდა ხოლმე,—კარგი განწყობილება ჰქონდა თავის ყმებთან.

გმირი ამ ამბავისა, რომელსაც ახლა მოგითხრობთ, ძველია ერთი ძველი დროის მებატონისა, სოფელ პატარა გუბში, ქალაქ ქუთაისის ახლოს.

კვირა დღეა. გაზაფხულია. მზე ათბობს დედა-მიწას და შუქს ჰფენს ტუბის წყალს.

მთელი სოფელი გარედ არის. მამაკაცები და პატარა ბიჭები გუბის წყლისკენ მიემურებიან. ექვსი კაცი ძლივს მიათრევს დიდ მოსადებ ბადეს. ბადე-სასოფლოა, საამხანაგოა. მეპლანი თევზაობენ საერთოდ—თავადი, აზნაური და გლეხი. შემდეგ ნანადირევს გაიყოფენ, ერთმანეთში გაინაწილებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიყარეს თავი მდინარის პირად, გააბეს ბადე სათავესთან. ორმოციოდე კაცი წელამდისაა წყალში შესული. შეკრეს მდინარე ბადით, რომელიც მალე თევზებით აივსო. ბოლოწითელა, წვერა, ღლავი - აბლაბუდაში ჩაცვივნული ბუზებსავით, ირევიან და ფართხალებენ დიდ ბადეში.

ნაპირიდან ხალხის ყიჟილ-ხივილი ისმის.

— ჰაი, ჰაი, ჰაი!—დაიყვირა ერთმა კაცმა.

— დაიღრჩო კაცი, დაიღრჩო!—იყვირა მეორემ...

— იქ ჩასძირა, იქ ჩასძირა,—დაიძახა მესამემ და თით-გაშვერილი მივარდა ერთ სამ—კუთხად წალში ჩამდგარ ბორცვთან.

— ვინ იყო, კაცო, ვინ იყო?..—დაიყვირეს წელიდან...

— ბატონიშვილი ალექსი, ბატონიშვილი!..—შეიქნა ყვირილ-ჩოჩქოლი. ხალხმა ერთბაშად დააგდო ბადე, კალიასავით მოედო მდინარეს. ნაპირზე მყოფმა კარგმა მცურავებმა გაიხადეს ტანზე და გადაეშვნენ მდინარეში... ამ უბედურების შემდეგ არ გაუვლია ნახევარ საათს, და მთელმა ახლო-მახლო სოფლების ხალხმა მოიყარა თავი: კაცი და ქალი, ბავშვი და მოხუცი—ყველა თავ-მოკლეჯილი მორბოდა. ბატონმა ზურაბმა მოაგდო თავისი შავი აფხაზური ლაფშა. მხედარსა და ცხენს—ორივეს ცეცხლი სცვიოდა თვალთაგან.

მეხივით გადმოვარდა ცხენიდან გამწარებული მამა.

— რა მიქენით, ხალხნო, დამიღუპეთ ჩემი ალექსი, ჩემი ერთად—ერთი იმედი... ვის რა მტრობა გქონდათ ჩემი ასეთი?—დაიძახა მან ჩავარდნილის ხმით...

— რას ბძანებთ, ბატონო, რას?.. რას გვწამებ ჩვენ უბედურებს: როგორ უნდა გიღალატოთ შენისთანა ბატონს?—ერთხმად შეჰყვირა ხალხმა.

— ჩვენი საყვარელი, ჩვენი მწყალობელი ბატონიშვილი დაგვეღუპა: რად გვინდა თავი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს რა დაატყდა ჩემ თავს! ამდენ კაცს როგორ გამოგეცალათ ხელიდან ჩემი შვილი, რომ ვერ გაიგეთ, ვერ მიუშველეთ?

ზურაბს სხვა მემამულეებიც შემოესივნენ, რომელნიც ნაპირიდან თვალს ადევნებდნენ თევზაობას.

— ბატონო ზურაბ, ისე უცფად მოხდა, ისე ჩაყლაპა წყალმა რომ თვალი ვერ მოვკარით.

— ვაი ჩემს თავს,—შემოიკრა ზურაბმა თავში ხელი და ჩაიკეცა.

— თავი გამაგდებინეთ, ბავშვი თუ სადმე წაეღოს წყალს. აქ სადმე იქნება: უთუოდ წაავლო ხელი დიდ ღლავს და მასთან ერთად ჩაიძირა!—იძახოდა ერთი მოხუცი გლეხი...

— ღრუ ექნება ამ ბორცვს, ბატონო, ღრუ!—იძახოდა მეორე.

მცურავები განაგრძობდნენ ძებნას.

— მოიტანეთ ბარ-ნიჩბები: მთლად გადათხარეთ ეს ნაპირები!—დაიძახა ზურაბმა.



მალე მთელი სოფელი დაადგა მდინარეს და გადათხარეს იქაურობა. ყვიროდნენ, ხმას აწვდიდნენ, მაგრამ ამაოდ: ვის გააგონებდნენ, ვის შეასმენდნენ? სადილობა გადავიდა. მზე განზე გადაექანა. მდინარეს ალმაცერად გადახედა გვერდიდან და ოქროსავით აალაპლაპა. ხალხი მაინც არ სცხრებოდა: განაგრძობდა მუშაობას.

საქმე სწორედ ისე მოხდა, როგორც იმ ერთმა გლეხმა სთქვა: ბატონიშვილი ალექსი წაეტანა ერთ დიდ ღლავს, მასთან ერთად ჩაიძირა და კვალ-და-კვალ გამოუდგა. ძვირად დაუჯდა ახალგაზდა მცურავს ეს გაბედულება: ერთი წუთი—და სადღაც მისთვის უცნობ ქვეყანაში ამოჰყო თავი. ფეხი ქვიშას მოახვედრა. დადგა. წყალი მკერდამდის სწვდებოდა.

არც ისე ბნელოდა, რომ ვერაფერი გაერჩია: ბუნდოვანად ხედავდა წყალს, რომელიც ტბასავით იდგა, არ მოძრაობდა.

შიგ უზარმაზარი თევზები იქნევდნენ ბოლოებს. მაღლა რაღაც ჭერი იყო, გვირაბივით წამოსხურული.

ალექსიმ კარგა მოათვალიერა იქაურობა, გაიწია ერთ მხარეზე: კედელს წააწყდა და გაჩერდა. გაიწია მეორე მხრისაკენ: იქაც კედელს წააწყდა. ოთხივე მხრივ კედელი შეხვდა. შუაზე მოემწყვდა აღარ იცის—რა იფიქროს: იცის, რომ მიწის ქვეშ არის მოქცეული, მაგრამ გასავალ გზას ვერ ხედავს.

ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ხმაურობა შემოესმა: ვიღაცაები დაფუსფუსებდნენ მაღლა, რაღაცას ყვიროდნენ, მაგრამ ალექსი მათ სიტყვებს ვერ არჩევს. სცადა ალექსიმაც ქვევიდან ხმის მიცემა, მაგრამ ვერას გახდა და დაჩუმდა.

კარგა ხანი გავიდა ამ ყოფაში. ალექსის მოთმინება გაუწყდა; სიცივემაც აიტანა. ყოველივე ცდამ ამაოდ ჩაუარა, მაგრამ მაინც თავს მაღლას ატანდა. უეცრად რაღაც ბრწყინვალე ზოლს მოჰკრა თვალი წყალში, თითქოს ნათელი სვეტი ჩამოეშვაო. ერთის მხრიდან გაშუქდა, განათდა წყალი.

— მზეა, ღმერთმანი, მზე! მაგრამ საიდან შემოდის? უთუოდ აქ სადღაც გზა იქნება,—დაიძახა გახარებულმა ალექსიმ. მართლაც—ეს მზის შუქი იყო, საღამოს, ჩამავალი მზის სხივები, რომელნიც თითქოს უკანასკნელად ტანს იბანდნენ წყალში, და დასასვენებლად ემზადებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზის შუქმა გზა გაუნათა წყალში მომწყვდეულ ტყვეს. ალექსიმ ორ დიდ ღლავს გაუყარა აქეთ-იქით მკლავები განიერ უბებში, ტანზე ფეხი შემოჰკრა და გარეკა. თევზები სინათლისკენ გასრიალდნენ, ყმაწვილი თან გაიტანეს და გარედ, ჩვენს ქვეყანაში ამოაყოფინეს თავი.

რა სიხარული იყო! ზურაბი ხომ ხელ-მეორედ დაიბადა ამ ქვეყნად: დაუბრუნდა თავისი თვალის ჩინი, მომავლის იმედი, საყვარელი შვილი. ყველა ეხვეოდა ალექსის, ჰკოცნიდა და ამბავს ეკითხებოდა. ყველა პირჯვარს ისახავდა ამ სასწაულის წინაშე.

— არავინ წახვიდეთ აქედან, ვისაც ჩემი სიხარული გახარებთ, ვინც ჩემი მოყვარე და კეთილის მსურველნი ხართ!— დაიძახა ზურაბმა:—ბიჭებო, გასწით მალე და ვახშამი დაამზადეთ, ყველას სამყოფი!

საღამოს, როცა დაბინდდა, ცვარი და ნესტი ბალახს მოედო და ნამგალა მთვარე გაუბედავად გამოჩნდა ცის ტატნობზე, პატარა ალექსის ეზო მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა: იქ ბევრგან ენთო ცეცხლი, ეკიდა დიდი ქვაბები, იხარშებოდა ხორცი, ძროხის ბეჭები და ქათმები. მარნის კარი ღია იყო და მსახურთ გამოჰქონდათ იქიდან ძვირფასი ღვინო.

მოაწყვეს ხალხისათვის დიდებული ლხინი და ნადიმი. თავადი, გლეხი და აზნაური ყველანი ერთად იყვნენ, ერთად ქეიფობდნენ და მხიარულებდნენ.

**მ. გარიყული.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# რატომ აქვს თოვლს თეთრი ფერი

## ლეგენდა.

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, ყველაფერს თავისი საკუთარი ფერი მისცა: ყვავილებსაც, ხეებსაც და ბალახებსაც; მაგრამ თოვლისათვის, ჰაერისათვის, ქარისათვის და წყლისათვის მას არავითარი ფერი არ მიუცია.

თოვლი ძალიან უკმაყოფილოდ იყო და მოჰყვა ბუტბუტს. ქარმა გაიგონა, ეს და, რომ ენუგეშებინა, ყურში ჩასჩურჩულა: „თუ ეგრე ძალიან გინდა ფერი გქონდეს, წადი და სთხოვე ისეთ ვისმე, ვისი ფერიც უფრო მოგწონსო.“

თოვლს ძალიან მოეწონა ქარის რჩევა, მეისვე წავიდა ბალახთან და სთხოვა მიეცა თავისი მშვენიერი სიმწვანე:

— ძვირფასო პატარა ბალახო, გევედრები, მომეცი შენი მწვანე ფერი! — უთხრა მან ბალახს თავისი ტკბილი ხმით. მაგრამ ბალახმა ყურიც არ ათხოვა და არაფერი უპასუხა.

თოვლმა იფიქრა — ვარდი უფრო თავაზიანი იქნებაო, მიუახლოვდა ტურფა ყვავილს და უთხრა:

— ნაზო ვარდო, გთხოვ, მომეცი შენი მშვენიერი ფერი!

ვარდმა, თავისი სიტურფით გაამაყებულმა, ზურგი შეაქცია თოვლსა და პასუხი არ გასცა.

გულდაწყვეტილი წავიდა თოვლი, და ახლა მიმართა იას, ყაყაჩოს, ზამბახს, მაგრამ ყველას გააჟრჟოლა მის მიახლოვებაზე და არცერთმა ყურადღება არ მიაქცია.

ეროვნული

უარესად გულმოკლული წავიდა საბრალო თოვლი ერთ ტყეში, რომ იქ დაემალა თავისი ცრემლები, ერთ კლდის-ბალახას ახლოს დაჯდა და უამბო თავისი მწუხარება. პატარა, ნორჩ ყვავილს შეეცოდა საბრალო თოვლი და უთხრა ალერსიანად:

თუ ჩემ თეთრ წამოსასხამს ინებებ, სიამოვნებით დაგითმობ.

თოვლმა მადლობის ნიშნად აკოცა პატარა ყვავილს და მეისვე გათეთრდა, გასპეტაკდა.

ამის შემდეგ მას შესძულდა ყველა ყვავილები, რომელთაც ფერის მიცემაზე უარი უთხრეს. რაც შეეხება კლდის-ბალახას, თოვლს ის მლიერ შეუყვარდა.

**დ. ჩიქვანი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა




## წერილები რედაქციის მიმართ

ქ-ნო რედაქტორო!

გიგზავნით ნაცნობ-მეგობრებში ჩემ მიერ შეგროვილ 2 მანათს და გთხოვთ გადასცეთ ეს ფული მცირფას აკაკის ფონდის სასარგებლოდ.

„ნაკადული“-ს მკითხველი

**ალექსი ბარნოვი,**

**9 წლისა.**

[illegible] სხვა ბავშვებსაც ასე მოიქცნენ.

ა. ბ.

---

ქ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ჩვენი მცირედი წვლილიც (ერთი მან.) გადასცეთ ეროვნული თეატრის ახალგ ფონდის კომიტეტს.

ტფილისის მე-3 სამოქალაქო სასწავლებლის მეორე კლასის მოწაფენი:

**გ. ასათიანი, ი. გოგშელიძე, ჩიქოვანი, ონიკაძე, იოსელიანი, მგალობლიშვილი, კრიჭაშვილი.**

თბილისი

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.** გამომცემელი ** თ. პ. ი. თუმანიშვილი.**